

მხოლოდ 3.6% შეადგინა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.

ერთობლივი მოთხოვნის შემცირების და ნავთობზე წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული დაბალი ფასების ფონზე, 2016 წელს ინფლაცია მიზნობრივი დონის ქვემოთ შენარჩუნდა, თუმცა სესხების მომსახურების ზრდის ეფექტით წარმოების შუალედური ხარჯების მატება ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით ახდენდა გავლენას. ინფლაციური მოლოდინების შემცირების ფონზე, საქართველოს ეროვნული ბანკი 2016 წლის აპრილიდან წლის ბოლომდე შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა.

2016 წელს ინფლაცია კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.2% შეადგინა (დეკემბერში წლიური ინფლაცია 1.8% იყო). მიზნობრივზე დაბალ მაჩვენებელს განაპირობებდა სუსტი ერთობლივი მოთხოვნა, ინფლაციის შემცირებული მოლოდინები და წინა პერიოდებში საერთაშორისო ბაზარზე საწვავსა და სურსათზე შემცირებული ფასები. შედარებით მაღალი იყო საბაზო ინფლაცია¹, თუმცა, ისიც კლებადი დინამიკით ხასიათდებოდა.

პოზიტიური ტენდენცია ჩამოყალიბდა დასაქმების კუთხითაც. ზოგადად, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს შრომის ბაზარი გაჯანსაღებით ხასიათდება და უმუშევრობის დონეც მცირდება. დასაქმების ზრდა დაქირავებით დასაქმებულთა ზრდამ გამოიწვია, თვითდასაქმებულთა რაოდენობა კი პირიქით შემცირდა. 2015 წელს უმუშევრობის ბუნებრივმა დონემ, ციკლურობის გამორიცხვით, 11.5% შეადგინა². ბუნებრივი დონის შემცირება, რაც ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამს წარმოადგენს, შრომის ბაზრის უფრო მაღალ მოქნილობასა და სამუშაო ძალის მობილობის ზრდაზე მიანიშნებს.


¹ ინფლაცია ენერგომატარებლების, სურსათის და ადმინისტრირებადი ტარიფების გამორიცხვით.

² აღნიშნული მაჩვენებელი შეფასებულია მშპ-ს ფაქტობრივი დონის პოტენციური დონიდან გადახრის გათვალისწინებით.

ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა და ზრდის მამოძრავებელი ფაქტორები


ეკონომიკური ზრდის პოტენციური დონე და გაპი

2016 წლის ეკონომიკურმა ზრდამ 2.7% შეადგინა. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პოტენციური დონე გაცილებით მაღალია და დაახლოებით 5%-ს შეადგენს. შესაბამისად, არსებობს ზრდის მნიშვნელოვანი დასაბუთებული პოტენციალი, რომელიც ათვისებული უნდა იქნას. ბოლო წლებში, საქართველოს ეკონომიკური ზრდა პოტენციურ დონეს ჩამორჩება. 2016 წელს პოტენციურ დონესთან ჩამორჩენამ 2.2% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განგარიშებები


მთლიანი შიდა პროდუქტის უარყოფითი გაპი ძირითადად გამოწვეულია საგარეო მოთხოვნის შესუსტებით და დოლარის გამყარების შედეგად გაზრდილი სესხის მომსახურების ხარჯის გამო, განკარგვადი შემოსავლის შემცირებით.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განგარიშებები


ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა

2013 წლის შემდეგ ეკონომიკურ ზრდაში მშენებლობის სექტორს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი. 2016 წლის ეკონომიკურ ზრდაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: დამამუშავებელი მრეწველობის, უძრავი ქონების, საფინანსო საქმიანობის და ვაჭრობის სექტორებმა. 2016 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განგარიშებები


2016 წელს ეკონომიკური ზრდის შენელება მშენებლობის სექტორში ზრდის შესუსტებასთან არის დაკავშირებული. კვარტლების მიხედვით თანდათან შემცირდა მისი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში და დეკემბერში უარყოფითი გახდა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განგარიშებები


ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია დანახარჯების მიხედვით

2010 წლის შემდეგ ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ინვესტიციებია. 2016 წლის ოთხივე კვარტალში ინვესტიციებს შეჰქონდა მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში, რასაც ვერ ვიტყვით მოხმარების მაჩვენებელზე. 2016 წლის პირველ კვარტალში მოხმარებამ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში უარყოფითი წვლილი შეიტანა, მოხმარების წვლილი მეორე კვარტალიდან კი დადებითი გახდა (0.4 პროცენტული პუნქტი) და მთლიანობაში მისმა კონტრიბუციამ ეკონომიკურ ზრდაში 1.0 პროცენტული პუნქტი შეადგინა. თავის მხრივ, მთლიანი ინვესტიციების 80%-ზე მეტი კერძო ინვესტიციებზე მოდის და ეკონომიკური ზრდის მთავარი წარმმართველი ფაქტორი, სწორედ, კერძო ინვესტიციების ზრდა იყო. კერძო ინვესტიციების წვლილი 2016 წლის რეალურ ზრდაში 2.6 პროცენტული პუნქტი იყო.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაანგარიშებები

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მეორე კვარტალიდან ეკონომიკურ ზრდაში უარყოფითი წვლილი საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტმა შეიტანა, რაც იმპორტის ზრდით იყო გამოწვეული. მომსახურების ექსპორტის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში ტრადიციულად დადებითი იყო.³



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაანგარიშებები

³ რეალური მოხმარების და ინვესტიციების შეფასებისას გამოყენებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ხოლო რეალური ექსპორტის შეფასებისას მშპ დეფლატორი.


საგარეო სექტორი და მოწყვლადობის ფაქტორები

მიმდინარე ანგარიში

საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოწვევას საგარეო შოკების მიმართ ქვეყნის მოწყვლადობა წარმოადგენს. მოწყვლადობის ძირითადი წყარო მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი და დოლარიზაციის მაღალი დონეა.

საქართველოს ისტორიულად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აქვს. 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა და მშპ-ს 13.3% შეადგინა. ეროვნული დანაზოგების დაბალი მაჩვენებელი და მისი არასაკმარისი დონე ინვესტიციების დასაფინანსებლად განაპირობებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. შესაბამისად, 2016 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა მთლიანი დანაზოგების შემცირებას უკავშირდება.


ეროვნული დანაზოგები და ინვესტიციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


2016 წლის მეორე ნახევრიდან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე შემცირების მიმართულებით მოქმედებდა ფულადი გზავნილების ზრდა და ტურიზმიდან შემოსავლების მნიშვნელოვანი მატება. დეფიციტის გაუარესება კი საინვესტიციო შემოსავლების გატანას უკავშირდება, რაც გასულ წლებში მაღალ საინვესტიციო შემოდინებებთან არის დაკავშირებული. მომსახურების ბალანსის გაუმჯობესება კი, კვლავაც ტურიზმიდან შემოსავლების ზრდას უკავშირდება. 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 12%-ით გაიზარდა და მომსახურების ექსპორტის 64.7% შეადგინა.

მიმდინარე ანგარიშის კომპონენტები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. 2016 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 74.9% პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსდა. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია მეტად მოახდინოს პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ განვითარებასა (ახალი ტექნოლოგიების შემოტანით, ადამიანისეული კაპიტალის განვითარებით და კონკურენციის ზრდით) და დანაზოგების ზრდაზე, დაფინანსების სხვა წყაროებთან შედარებით.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაში სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სექტორების დაბალი წილის გამო შეზღუდულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ექსპორტზე, თუმცა 2016 წელს გაიზარდა რეალურ სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი.


დოლარიზაცია

მაღალი დოლარიზაცია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია. მაღალი დოლარიზაციის პირობებში ქვეყნის სავალუტო რისკი იზრდება და მცირდება საგარეო შოკებისადმი მდგრადობა, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე. გარდა ამისა, დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი ანტიციკლური მონეტარული პოლიტიკის გატარების საშუალებას ზღუდავს. ეს უკანასკნელი კი, ზოგადად, ეკონომიკის აგენტების მიერ საქმიანობის დაგეგმვას ართულებს. დოლარიზაციის შემცირება ხელს შეუწყობს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას და შეამცირებს ფინანსური არასტაბილურობის რისკებს.

ლარის გაუფასურების უარყოფითი შედეგები მნიშვნელოვნად დაამძიმა დოლარიზაციის მაღალმა მაჩვენებელმა. გაიზარდა ეროვნულ ვალუტაში გამოხატული დოლარში აღებული სესხების მომსახურების მოცულობა, რამაც გამოიწვია მიწოდების შოკი. აღნიშნულმა, შეზღუდული ანტიციკლური პოლიტიკის პირობებში, უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკურ ზრდაზე.

იმპორტის ზრდით იყო გამოწვეული. ტენდენცია შეიცვალა მეოთხე კვარტალში, როცა იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შუალედური საქონლის იმპორტის ზრდამ შეიტანა. მთლიანობაში 2016 წელს იმპორტი შემცირდა 0.7%-ით, თუმცა საინვესტიციო საქონლის წვლილი იმპორტის წლიურ ცვლილებაში დადებითი იყო და 2.0 პროცენტული პუნქტი შეადგინა. შუალედური საქონლის წვლილი წლიურ ცვლილებაში უარყოფითი იყო და 2.7 პროცენტული პუნქტი შეადგინა. სამომხმარებლო საქონლის ცვლილება კი უმნიშვნელო იყო.


წვლილი იმპორტის ცვლილებაში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განგარიშებები

ექსპორტის ნომინალური კლება, რომელიც 2014 წლის აგვისტოდან დაიწყო, 2016 წლის სექტემბერამდე გაგრძელდა. ხოლო სექტემბერში დაიწყო ექსპორტის ზრდა. რეალურ გამოხატულებაში ექსპორტის ზრდა კი უფრო ადრე - ივნისში დაიწყო. მთლიანობაში, 2016 წელს ექსპორტი ნომინალურ გამოხატულებაში შემცირდა 4.1%-ით. რეალურ გამოხატულებაში კი ექსპორტის 10%-იანი ზრდა დაფიქსირდა.⁴

ექსპორტის ცვლილება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განგარიშებები

⁴ ექსპორტის შეწონილი საფასო ინდექსის დათვლისას საბაზისო პერიოდად აღებულია წინა წლის საშუალო ფასები.

ფულადი გზავნილები

2016 წლის მეორე ნახევრიდან შეინიშნება გაჯანსაღება ფულადი გზავნილების მიმართულებით. მთლიანობაში 2016 წელს ფულადი გზავნილების ზრდამ 6.6% შეადგინა. დოლარის ინდექსით შესწორებული ფულადი გზავნილები კი 11.6%-ით გაიზარდა. 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებლის ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიტანა: ისრაელმა (2.6 პროცენტული პუნქტი), აშშ-მ (2.6 პროცენტული პუნქტი), თურქეთმა (1.7 პროცენტული პუნქტი), იტალიამ (1.2 პროცენტული პუნქტი). რუსეთის ფედერაციიდან გზავნილები კი მნიშვნელოვნად შემცირდა და უარყოფითმა კონტრიბუციამ 3.6 პროცენტული პუნქტი შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განგარიშებები


ფულადი გზავნილების ფარდობა მშპ-თან მიმართებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება და საშუალოვადიან პერიოდში ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების შემცირებაა მოსალოდნელი.

ტურიზმი

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია. 2016 წელს ტურიზმი წარმოადგენდა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. 2016 წელს შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 11.9%-ით (230 მილიონი დოლარით) გაიზარდა და მისმა წილმა მომსახურების ექსპორტში 65% შეადგინა.

2016 წელს 4.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა მეზობელი ქვეყნების წილი მთლიანი ვიზიტორების რაოდენობაში და 83.6% შეადგინა. პარალელურად, მეზობელი ქვეყნების გარდა ვიზიტორების რაოდენობის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უკრაინიდან, ირანიდან, ისრაელიდან, ყაზახეთიდან, საუდის არაბეთიდან და ბელარუსიდან ვიზიტორების რაოდენობის ზრდამ. შესაბამისად, იზრდება ტურისტული ნაკადების დივერსიფიკაციის დონე.

შემოსავლები ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2016 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდამ 5% შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა რეალურ სექტორში ინვესტიციების ზრდით იყო გამოწვეული. 2016 წელს ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, ენერჯეტიკის და მშენებლობის სექტორებში.

ბოლო პერიოდში, ძლიერი დოლარის ფაქტორის გათვალისწინებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დოლარში აღრიცხვა მისი რეალური ზრდის ტემპებს არასაკმარისად ასახავს. რეალური დინამიკის უფრო ზუსტად ასახვისათვის მნიშვნელოვანია შევხედოთ დოლარის ინდექსით შესწორებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელს. 2016 წელს დოლარის ინდექსით შესწორებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდამ 10% შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაანგარიშებები

გლობალური მაკროეკონომიკური გარემო

ზოგადი მიმოხილვა

2016 წელს რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია არასტაბილურმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ და ნავთობის შემცირებულმა ფასებმა. საექსპორტო შემოსავლების მნიშვნელოვნად შემცირებამ შეაფერხა ეკონომიკური ზრდა აზერბაიჯანსა და რუსეთში. წლის პირველ ნახევარში არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობას რუსეთში, უარყოფითი გადადინებითი ეფექტი ჰქონდა რეგიონის სხვა ქვეყნებზე სავაჭრო, ფინანსური და საინვესტიციო არხებით, შენედა სომხეთის ეკონომიკური ზრდა. დამაბულმა პოლიტიკურმა გარემომ, რუსეთის მიერ დაწესებულმა სანქციებმა და ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ უარყოფითად იმოქმედა თურქეთის ეკონომიკურ ზრდაზე. უკრაინაში კი, კონფლიქტის დეესკალაციის კვალდაკვალ, გაჯანსაღების ნიშნები გამოიკვეთა.

აღსანიშნავია, რომ შეინიშნება ნეგატიური რისკების შემცირება და სიტუაციის სტაბილიზაცია. პოზიტიურია 2017 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი რეგიონის ქვეყნებისთვის.

რეგიონის ქვეყნების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

	მშპ-ს რეალური ზრდა 2016 წელი	მშპ-ს 2017 წლის რეალური ზრდის პროგნოზი, WB (იანვარი, 2017)	მშპ-ს 2017 წლის რეალური ზრდის პროგნოზი, IMF (აპრილი, 2017)	საშუალო წლიური ინფლაცია 2016	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი
საქართველო	2.7%	5.2%	3.5%	2.2%	6.75%
რუსეთი	-0.2%	1.5%	1.4%	5.0%	9.75%
თურქეთი	2.9%	3.0%	2.5%	7,8%	8.0%
სომხეთი	0.2%	2.7%	2.9%	-1.4%	6.0%
აზერბაიჯანი	-3.8%	1.2%	-1.0%	11.3%	15.0%
უკრაინა	2.2%	2.0%	2.0%	13.9%	14.0%
აშშ	1.6%	2.2%	2.3%	2.1%	0.75-1.0%
ევროზონა	1.7%	1.5%	1.7%	0.2%	0%
ჩინეთი	6.7%	6.5%	6.6%	2.0%	4.35%

წყარო: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შესაბამისი ქვეყნების სტატისტიკის ეროვნული სამსახურები და ცენტრალური ბანკები.

რუსეთი

2016 წელს რუსეთის ეკონომიკის ვარდნა შენედა, რაც ნავთობის ფასის დასტაბილურებისა და დაწესებული სანქციების შედეგად მიღებული უარყოფითი შოკის ამოწურვის შედეგია. 2016 წელს რუსეთის ეკონომიკა 0.2%-ით შემცირდა, ამასთან პროგნოზი გაუმჯობესდა ნავთობის ფასის ზრდის ფონზე და 2017 წლისთვის რუსეთის ეკონომიკის 1.4%-იანი ზრდაა მოსალოდნელი⁵. 2016 წელს ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირდა და დეკემბერში 5.4% შეადგინა, მაგრამ კვლავ აჭარბებს რუსეთის ცენტრალური ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელს (4%-ს). ინფლაციური პროცესების დასტაბილურებასთან ერთად, 2016 წლის მეორე ნახევრიდან რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას მიმართა და წლის ბოლოსთვის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10%-მდე შემცირდა.

სომხეთი

სომხეთი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რუსეთთან სავაჭრო, ფულადი გზავნილებისა და უცხოური ინვესტიციების არხებით. შესაბამისად, რუსეთში მიმდინარე ნეგატიური ტენდენციები უარყოფითად აისახა სომხეთის ეკონომიკაზე. 2016 წელს სომხეთის ეკონომიკა 0.2%-ით გაიზარდა. წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა თანდათან შენედა და მესამე და მეოთხე კვარტალში უარყოფითი გახდა. უარყოფითი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში ინვესტიციებმა შეიტანა, წმინდა ექსპორტის წვლილი კი კვლავ დადებითი იყო. პირველ კვარტალში დაფიქსირებული მაღალი ზრდა დიდწილად სპილენძის ახალი საბადოების გახსნის შედეგად სპილენძის მადნების ექსპორტის ზრდას უკავშირდება. სსფ-ს პროგნოზით სომხეთის ეკონომიკა 2017 წელს 2.9%-ით გაიზრდება.

მთელი წლის განმავლობაში სომხეთის ეკონომიკის მნიშვნელოვან პრობლემას დეფლაცია წარმოადგენდა (საშუალო წლიურმა დეფლაციამ 2016 წელს 1.4% შეადგინა). დეფლაციური პროცესების გასაწესებლად და ეკონომიკის სტიმულირებისთვის სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას მიმართა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად (10.5% - 2015 წლის აგვისტოში) 6.0%-მდე შემცირდა.

სომხეთის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ საფინანსო სექტორი რჩება. წლის განმავლობაში მაღალი იყო უმოქმედო სესხების წილი (საშუალოდ 9.4%), თუმცა წლის ბოლოს 6.7%-მდე შემცირდა. ეკონომიკის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მაღალი დოლარიზაცია. დოლარიზაციის საშუალო მაჩვენებელი 65%-ს აღემატება.

თურქეთი

2016 წელს თურქეთის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად შენედა. 2016 წლის ეკონომიკურმა ზრდამ 2.9% შეადგინა. 2016 წლის მეორე ნახევარში დაძაბული პოლიტიკური ვითარების, არასტაბილური გარემოს, რუსეთის მიერ დაწესებული სანქციებისა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების პარალელურად ეკონომიკური ზრდა უარყოფითი გახდა.

⁵ World Economic Outlook, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აპრილი 2017.

გაურკვევლობის გაზრდილი დონისა და დაკრედიტების საერთო მოცულობის შემცირების ფონზე, შენედა საინვესტიციო აქტივობაც. 2016 წელს ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი შიდა მოხმარება იყო, რაც გაზრდილმა სახელმწიფო დანახარჯებმა განაპირობა. შემცირებულმა ტურისტულმა შემოსავლებმა მნიშვნელოვნად გააუარესა წმინდა ექსპორტი და გააღრმავა მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო.

2016 წელს ინფლაციის დონე მიზნობრივ მაჩვენებელზე (5%) მაღლა შენარჩუნდა (საშუალო წლიური ინფლაცია - 7.8%) და დეკემბერში 8.5%-მდე გაიზარდა, რაც უმეტესწილად ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ და ინფლაციის მაღალმა მოლოდინებმა განაპირობა.

ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, 2016 წელს მთავრობამ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა გაატარა, მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო ხარჯები და დააწესა საგადასახადო შეღავათები ინვესტიციების წასახალისებლად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2017 წელს თურქეთის ეკონომიკა 2.5%-ით გაიზრდება.

აზერბაიჯანი

ნავთობის ფასის ვარდნამ მნიშვნელოვნად დააზარალა აზერბაიჯანის ეკონომიკა. წინასწარი მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტი 2016 წელს მოსალოდნელზე მეტად, 3.8%-ით შემცირდა.

წინა პერიოდში არსებული პროფიციტული მიმდინარე ანგარიში, ნავთობის დაბალი ფასების, რეგიონის ქვეყნების დაბალი ეკონომიკური აქტივობის, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში გაცვლითი კურსის გაუფასურებისა და ნახშირწყალბადის წარმოების მნიშვნელოვნად შეკვეცის გამო, დეფიციტური სალდოთი შეიცვალა.⁶ მოსალოდნელია, რომ მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს, ეროვნული ვალუტის დევალვაციის ფონზე, იმპორტის შემცირება და ექსპორტის ზრდა.

2016 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 11%-მდე გაიზარდა, რაც უმეტესწილად გაცვლითი კურსის დევალვაციის შედეგი იყო. 2016 წელს აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა და ინფლაციური წნეხის შესამცირებლად რეფინანსირების განაკვეთი 15%-მდე გაზარდა.

ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოწვევას საფინანსო სექტორი წარმოადგენს. მაღალია დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, რომელმაც დეკემბრის მდგომარეობით 75.3% შეადგინა. ასევე, მაღალი იყო უმოქმედო სესხების წილი, რომელიც დეკემბერში 9.0%-მდე გაიზარდა. სესხების დოლარიზაციის შესამცირებლად ცენტრალურმა ბანკმა შემოიღო ახალი მაკროპრუდენციული ინსტრუმენტი და დააწესა შეზღუდვები დოლარში დენომინირებული სესხის მოცულობაზე.

⁶ <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2016/cr16296.pdf>

ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად, მთავრობამ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გატარება დაიწყო და საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები, პენსიები და სოციალური დახმარებები მნიშვნელოვნად გაზარდა. ამავდროულად, ეკონომიკის დივერსიფიკაციის მიზნით, მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას.

მომდევნო წლების განმავლობაში ნავთობის ფასის დასტაბილურებასთან ერთად მოსალოდნელია აზერბაიჯანის ეკონომიკის გაჯანსაღება. 2017 წლისთვის კი საერთაშორისო სავალუტო ფონდი აზერბაიჯანის ეკონომიკის 1%-იან შემცირებას ვარაუდობს.

უკრაინა

უკრაინაში გეოპოლიტიკური მდგომარეობის დასტაბილურების ფონზე, ეკონომიკის გაჯანსაღების ნიშნები გამოიკვეთა და წინასწარი შეფასებით 2016 წელს 1.5%-იანი ზრდა დაფიქსირდა. პოზიტიური ტენდენციები გამოიკვეთა ბიზნეს აქტივობისა და ინდუსტრიული წარმოების ზრდის, მოლოდინების გაუმჯობესებისა და მოთხოვნის ზრდის მიმართულებით. ინფლაცია 2016 წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა და საშუალოდ 12%-13% შეადგინა, რამაც საშუალება მისცა ეროვნულ ბანკს დაეწყო გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლის პროცესი და წლის განმავლობაში პოლიტიკის განაკვეთი 22%-დან 14%-მდე შემცირა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2017 წელს უკრაინის ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო მაღალი იქნება და 2.0%-ს შეადგენს. ამავდროულად, მოსალოდნელია ინფლაციის დონის 10%-მდე შემცირება.

აშშ

2016 წელს, მიუხედავად წლის პირველ ნახევარში დაბალი ეკონომიკური აქტივობისა, აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტი მოსალოდნელზე მეტად გაიზარდა. 2016 წელს აშშ-ს ეკონომიკურმა ზრდამ 1.6% შეადგინა. ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი კერძო მოხმარების და სამთავრობო დანახარჯების ზრდამ შეიტანა.

ინფლაცია გრძელვადიანი 2%-იანი მიზნობრივი მაჩვენებლის ქვემოთ ნარჩუნდება, ინფლაციის სიდიდე გარკვეულწილად ასახავს ენერგორესურსების ფასების და სხვა რესურსების იმპორტის ფასების შემცირებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, 2016 წლის დეკემბერში ფედ-მა პოლიტიკის განაკვეთი 0.25 პროცენტული პუნქტით გაზარდა (ფედერალური ფონდების განაკვეთი 0.5-0.75%-ის საზღვრებში). შრომის ბაზრის გაუმჯობესებისა და ენერგორესურსების და იმპორტის ფასების ეფექტის ამოწურვასთან ერთად, მოსალოდნელია, ინფლაციის საშუალოვადიან პერიოდში 2%-იან ნიშნულამდე გაზარდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2017 წელს, გაზრდილი ფისკალური სტიმულისა და მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზების შედეგებით წელი ტემპის დაშვებით, ვარაუდობს მთლიანი შიდა პროდუქტის 2.3%-იან ზრდას.

ევროზონა

მიუხედავად ევროპის საფინანსო ბაზრებზე გაზრდილი არასტაბილურობისა და გლობალური ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა, ევროზონის ეკონომიკა გაჯანსაღების ნიშნებს ავლენს, თუმცა მთლიანი შიდა პროდუქტი კვლავ ჩამორჩება პოტენციურ დონეს. შრომის ბაზარზე გაუმჯობესებული ვითარების, დაბალი ინფლაციისა და შერბილებული მონეტარული პოლიტიკის ფონზე, წინასწარი შეფასებით ევროზონის ეკონომიკა 2016 წელს 1.7%-ით გაიზარდა. ცალსახაა, რომ Brexit-ს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია მოლოდინების ფორმირებასა და ეკონომიკურ აქტივობაზე ევროზონაში.

2017 წლისთვის ევროზონის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 0.1 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და 1.7% შეადგინა.

ჩინეთი

ჩინეთში ეკონომიკური ზრდის შენელებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს გლობალურ ეკონომიკურ ზრდაზე. 2016 წელს ჩინეთის ეკონომიკა, პოლიტიკური სტიმულების ფონზე, მოსალოდნელზე მეტად გაიზარდა და წინასწარი შეფასებით რეალურმა ზრდამ 6.7% შეადგინა.

ჩინეთის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 0.3 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და 2017 წლისთვის 6.6%-ს შეადგენს.

მაკროეკონომიკური რისკები

საქართველოს მსგავსი მცირე ზომის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ეგზოგენური შოკების გადმოცემის ეფექტი მნიშვნელოვანია. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად კვლავ საგარეო სექტორი რჩება. ბოლო პერიოდში ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ასუსტებს საგარეო მოთხოვნას და ნეგატიურად მოქმედებს ექსპორტის ზრდაზე. შესაბამისად, ქვეყნის წინაშე მდგარი რისკებიც მნიშვნელოვნად რეგიონში არსებულ სიტუაციას და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შენელებას უკავშირდება.

ნეგატიური რისკები

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელება

საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა წარმოადგენს. აღნიშნულ ქვეყნებში გეოპოლიტიკური რისკებისა და ეკონომიკური ზრდის შენელების საფრთხე უარყოფითად აისახება საქართველოს ექსპორტზე, რაც თავის მხრივ მიმდინარე ანგარიშის ბალანსს აუარესებს.

რეგიონში არსებული პრობლემები გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო საკრედიტო რეიტინგებზეც. აღნიშნული უკვე აისახა რეგიონის ზოგიერთი წარმომადგენლის სახელმწიფო საკრედიტო რეიტინგზე. ეს გარემოება შესაძლოა უარყოფითად აისახოს რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობაზე.

ჩინეთის ეკონომიკური ზრდის შენელება

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით 2017 და 2018 წლებში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა შენელდება. 2016 წელს ჩინეთის ეკონომიკურმა ზრდამ 6.7% შეადგინა. 2017 და 2018 წლისთვის კი, შესაბამისად 6.6% და 6.2%-იანი ზრდაა მოსალოდნელი.

ჩინეთის ზრდის შენელებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს გლობალურ ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთანავე, ჩინეთში მოთხოვნის შემცირება მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საერთაშორისო სასაქონლო პროდუქციის ფასებზე. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩინეთი გახდა მოთხოვნის და ინვესტიციების მთავარი წყარო განვითარებადი ქვეყნებისთვის. სავაჭრო კავშირები ჩინეთთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ აზიის რეგიონისთვის და პროდუქციის ექსპორტიორებისთვის გლობალურად. ჩინეთი ასევე წარმოადგენს ტურისტული ნაკადების მნიშვნელოვან წყაროს.

2016 წელს საგარეო ვაჭრობის შენელებაში ჩინეთის წვლილი იყო განსაკუთრებით დიდი. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის უარყოფითი კონტრიბუცია იმპორტის მოცულობის ზრდის შენელებაში. ჩინეთის საექსპორტო პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებამ, თავის მხრივ, შეამცირა ნედლეულის იმპორტი ჩინეთში. ამასთანავე, მოხდა გადართვა იმპორტინტენსიური წარმოებიდან უფრო ეროვნულ წარმოებაზე ორიენტირებული

მომსახურების სექტორისკენ, რამაც შეამცირა მოთხოვნა იმპორტზე. ჩინეთის წილი საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვნად გაიზარდა (2016 წელს - 8%) და შესაძლოა ის საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად ჩამოყალიბდეს, რასაც ხელს შეუწყობს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩინეთსა და საქართველოს შორის შემდგარი შეთანხმება. ჩინეთში ეკონომიკური ზრდის შენელება შეამცირებს თავისუფალი ვაჭრობის შედეგად მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს.

ევროკავშირის ზრდის ტემპის შემცირება

წინასწარი შეფასებით, ევროკავშირის ეკონომიკურმა ზრდამ 2016 წელს 1.7% შეადგინა. ევროპის საფინანსო ბაზრებზე გაზრდილი არასტაბილურობა და გლობალური ეკონომიკური პროგნოზის გაუარესება საფრთხეს უქმნის ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას.

ევროზონის ქვეყნებში ეკონომიკის სტიმულირებისთვის ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ნულ პროცენტამდე შეამცირა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ქვედა ზღვრის დონეზე ყოფნა არ ტოვებს სივრცეს, საგარეო შოკის არსებობის შემთხვევაში, მონეტარული პოლიტიკის შერბილებით ეკონომიკის წახალისებისთვის.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმების ფონზე, ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის შენელების რისკი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც ექსპორტის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფულადი გზავნილების, ასევე ტურიზმის თვალსაზრისით. 2016 წელს საქართველოს ექსპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილმა 27% შეადგინა.

კაპიტალის ნაკადების შემცირება

გლობალიზაციის ტემპის შემცირება და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების შესუსტება მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. აღნიშნული რისკის გაძლიერებას ხელი შეუწყობს ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებამ, რამაც მომავალში შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ ზოგადად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე. გლობალიზაციის ტემპის შემცირება დაკავშირებულია საერთაშორისო ვაჭრობის შენელებასა და კაპიტალის ნაკადების შემცირებასთან.

2010 წლის შემდეგ შეინიშნება კაპიტალის ნაკადების შემოდინების შენელება განვითარებად ქვეყნებში. რისკის შემცველია აგრეთვე, განვითარებადი ქვეყნებიდან ინვესტორების მიერ კაპიტალის გატანის ბოლოდროინდელი მზარდი ტენდენცია.

პოზიტიური რისკები

დოლარიზაციის დონის შემცირება

2016 წლის მონაცემებით დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, კურსის ეფექტის გამორიცხვით, 71%-ს აჭარბებს, ხოლო სესხების დოლარიზაციის დონე ბოლო პერიოდში შემცირების ტენდენციით ხასიათდება და 2016 წლის ბოლოს 64%-ს შეადგენს.

დოლარიზაციის მაღალი დონე ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია, შესაბამისად, ლარიზაციის გრძელვადიანი პროგრამის წარმატებულად განხორციელება ხელს შეუწყობს დოლარიზაციის დონის შემცირებას და მნიშვნელოვნად შეამცირებს საგარეო მოწყვლადობის დონეს. დოლარიზაციის შემცირება გაზრდის ქვეყნის მდგრადობას საგარეო შოკების მიმართ, შეამცირებს სავალუტო რისკს და ხელს შეუწყობს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდას.

დივერსიფიცირებული ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია

საქართველო აქტიურად იყენებს ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს. 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) ამოქმედებული შეთანხმება ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. 2016 წელს წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები ჩინეთთან და EFTA-ს ქვეყნებთან (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის გასაღების ბაზრების გაფართოებას.

ეკონომიკური ფუნქციების დივერსიფიკაცია

საქართველოს აქვს პოტენციური მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია და მეზობელ ქვეყნებს (თურქეთს, ირანს, რუსეთს და სომხეთს) შორის ვაჭრობა მისი გავლით მოხდეს, რაც მომავალში წარმოქმნის დამატებით შემოსავალს და დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე. სატრანზიტო პოტენციის ზრდას ხელს შეუწყობს შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები: სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება აზერბაიჯანის და საქართველოს მიმართულებით; ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის დასრულება და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა.

ევროპასთან უფრო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედება

უფრო მიმოსვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს საქართველოში ცოდნის შემოდინებას. საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს ექნება მეტი შესაძლებლობა, შედარებით მცირე დანახარჯებით, უზრუნველყოს კავშირების ჩამოყალიბება, უკეთესი წვდომა ევროპულ ბაზარზე და გამოცდილების გაზიარება. გარდა ამისა, ევროპის

მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან ერთად, მნიშვნელოვანი პოზიტიური სიგნალია პოტენციური ინვესტორებისათვის.

გლობალური ბაზრის მიერ მართვად სასაქონლო პროდუქტებზე ფასების ზრდა

საქართველოს ძირითად საექსპორტო პროდუქტებს გლობალური ბაზრის მიერ მართვადი პროდუქტები წარმოადგენს და შესაბამისად, შეზღუდულია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა მათ ექსპორტზე. აღნიშნული რისკი გასულ წლებში უარყოფითად რეალიზდა, შემცირდა ფასები ძირითად საექსპორტო პროდუქტებზე, რასაც მოჰყვა ნომინალურ გამოხატულებაში ექსპორტის კლება. მოსალოდნელია, 2017 წელს გლობალური ბაზრის მიერ მართვად პროდუქტებზე ფასების ზრდა. 2016 წელს სასაქონლო პროდუქტების ფასების ინდექსის 2.7%-იანი კლების ფონზე, 2017 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდი სასაქონლო პროდუქტებზე (ნავთობის გამორიცხვით) ფასების 2.1%-იან ზრდას პროგნოზირებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ნომინალური ექსპორტის გაუმჯობესებას.


მონეტარული სექტორი

ინფლაცია

2016 წელს საშუალო წლიური ინფლაცია მიზნობრივ 5%-ზე დაბლა შენარჩუნდა და 2.2% შეადგინა. წლის განმავლობაში ინფლაცია კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. დეკემბერში კი, წლიურმა ინფლაციამ 1.8% შეადგინა. მიზნობრივზე დაბალ მაჩვენებელს განაპირობებდა სუსტი ერთობლივი მოთხოვნა, ინფლაციის შემცირებული მოლოდინები და წინა პერიოდებში საერთაშორისო ბაზარზე საწვავსა და სურსათზე შემცირებული ფასები. შედარებით მაღალი იყო საბაზო ინფლაცია⁷, თუმცა ისიც კლებადი დინამიკით ხასიათდებოდა. წლის დასაწყისში აღნიშნული მაჩვენებელი 7%-ის ფარგლებში იყო, ხოლო დეკემბერში 1.8% შეადგინა. საბაზო ინფლაციის საშუალოწლიური მაჩვენებელი 2016 წელს 3.6% იყო. 2016 წელს ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონესთან ჩამორჩენის მიუხედავად, 2017 წლის პირველ კვარტალში ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 4.9%-ს შეადგენს. ინფლაციის დონის ზრდაზე გავლენა მოახდინა იმპორტირებულმა ინფლაციამ და ლარის გაუფასურების გამო შუალედური ხარჯების ზრდამ.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2016 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მკაცრი მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის პროცესი. 2016 წლის აპრილიდან წლის ბოლომდე ეროვნული ბანკი შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა. აღნიშნული განპირობებული იყო შემცირებული ინფლაციური მოლოდინებითა და ერთობლივი მოთხოვნით. წლის განმავლობაში ინფლაცია რჩებოდა მიზნობრივი მაჩვენებლის ქვემოთ, რაც ეროვნულ ბანკს რეფინანსირების განაკვეთის ეტაპობრივად შემცირების საშუალებას აძლევდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის ბოლოს და 2017 წლის დასაწყისში ინფლაციური მოლოდინები ზრდის მიმართულებით შეიცვალა და 2017 წლის იანვრის თვეში ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გაზარდა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

⁷ ინფლაცია ენერგომატარებლების, სურსათის და ადმინისტრირებადი ტარიფების გამორიცხვით.


ფისკალური სექტორი

ბიუჯეტის მონაცემები

ფისკალური ბალანსი, სამთავრობო დანაზოგები და სახელმწიფო ინვესტიციები


ფისკალური სექტორის მდგრადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკა. საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტი სტაბილურ დონეზეა და 2016 წელს მშპ-სთან ფარდობამ 1.4% შეადგინა. თავის მხრივ, დეფიციტის მდგრად დონეზე შენარჩუნების მნიშვნელოვან პირობას სამთავრობო დანაზოგების ზრდა წარმოადგენს. საოპერაციო სალდო მდგრად დონეზეა და 2016 წელს დადებითმა სალდომ მშპ-ს 2.6% შეადგინა. 2016 წელს შემცირდა დადებითი საოპერაციო სალდოსა და კაპიტალური ხარჯების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი.

2016 წელს პირველადი დეფიციტი ნულთან ახლოს იყო (0.2%), რაც მნიშვნელოვანი პარამეტრია ვალის მდგრადობისთვის.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში გათვალისწინებულია, როგორც სამთავრობო დანაზოგების, ასევე სახელმწიფო ინვესტიციების და მათი მშპ-თან ფარდობის ზრდა. საშუალოვადიან პერიოდში სამთავრობო დანაზოგების ზრდა ხელს შეუწყობს კაპიტალური ხარჯების დაფინანსებაში ადგილობრივი დანაზოგების წილის ზრდას. ამასთანავე, მოსალოდნელია, რომ ფისკალური სექტორის მხრიდან გაძლიერდება ზრდაზე ორიენტირებულობა (გაიზრდება კაპიტალური ხარჯები), თუმცა იმის გამო, რომ აღნიშნული ზრდა არ გადაიზარდოს დეფიციტსა და ვალის დაგროვებაში იგი მეტწილად დაფინანსებული იქნება სამთავრობო დანაზოგებით. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია კაპიტალური ხარჯების დაახლოებით 60%-ის სამთავრობო დანაზოგებით დაფინანსება.




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ტყუპი დეფიციტები

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად ფიქსირდება ტყუპი დეფიციტები, რაც ბიუჯეტის დეფიციტისა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ერთდროულად არსებობას გულისხმობს. სამთავრობო დანაზოგების არასაკმარისი დონე სახელმწიფო ინვესტიციების დასაფინანსებლად განაპირობებს ბიუჯეტის დეფიციტს. მსგავსი დამოკიდებულება კერძო დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის ბიუჯეტის დეფიციტთან ერთად განაპირობებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს, დეფიციტის მცირე ნაწილი კი ვალით ფინანსდება. თუმცა, მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა რისკის შემცველია ვალით დაფინანსებული დეფიციტის სიდიდე ეკონომიკური სტაბილურობისთვის.

2016 წელს მიმდინარე ანგარიშის შესწორებული დეფიციტისა და ბიუჯეტის დეფიციტის ჯამმა მშპ-ს 4.8% შეადგინა⁸. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის შემდეგ მიმდინარე ანგარიშის შესწორებული და ბიუჯეტის დეფიციტის ჯამი 5%-ზე მაღალი არ ყოფილა, რაც მდგრად ტენდენციაზე მიანიშნებს.




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი

⁸ შესწორებული დეფიციტი - მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს გამოკლებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული დეფიციტი.

სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალი

2016 წლის ბოლოს სახელმწიფო ვალის ფარდობამ მშპ-თან 44.6% შეადგინა. მშპ-თან მიმართებით სახელმწიფო ვალის ზრდა ძირითადად გაცვლითი კურსის გაუფასურებით იყო გამოწვეული, გაცვლითი კურსით შესწორებული სახელმწიფო ვალის ფარდობა მშპ-თან კი 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა. გაცვლითი კურსის სტაბილურობის პირობებში სახელმწიფო ვალი მშპ-თან მიმართებით 41.2%-ის დონეზე იქნებოდა.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაანგარიშებები

სახელმწიფო ვალის 79%-ს საგარეო ვალი წარმოადგენს, რაც ზრდის რისკებს ლარის გაუფასურების შემთხვევაში. საშუალოვადიან პერიოდში, კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან ერთად, გაიზრდება სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს საგარეო დაფინანსების საჭიროების შემცირებას და მთლიან ვალში საშინაო ვალის წილის ზრდას.

სახელმწიფო ვალის დიდ ნაწილს კონცესიური სესხები წარმოადგენს, შესაბამისად, სახელმწიფო ვალის საბაზრო ღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე სახელმწიფო ვალის სიდიდე. კონცესიურობის ელემენტი საქართველოს საგარეო ვალში დაახლოებით 33%-ს შეადგენს. საგარეო ვალის საბაზრო ღირებულება მშპ-ს 24%-ს შეადგენს და მნიშვნელოვნად ნაკლებია სუსტი სავალო ტვირთის ზღვრულ მაჩვენებელზე (30%)⁹.

საშუალოვადიან პერიოდში ვალის მშპ-თან ფარდობის სტაბილურ დონეზე შენარჩუნების მთავარ პირობას ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს. შესაბამისად, მშპ-ს ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებელი და მისი მეტობა ვალის საპროცენტო განაკვეთთან შედარებით უზრუნველყოფს ვალის მდგრად დონეზე შენარჩუნებას. დაგეგმილი ეკონომიკური ზრდისა და საპროცენტო ინფლაციის გათვალისწინებით, ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი, რომელიც უზრუნველყოფს საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ვალის მშპ-ს 40%-ის დონეზე შენარჩუნებას, საშუალოდ მშპ-ს 0.5%-ს შეადგენს, ხოლო მთლიანი დეფიციტის მაჩვენებელი კი მშპ-ს 1.7%-ს.

⁹ საგარეო ვალის საბაზრო ღირებულების შეფასებისას სავალო გადახდები დისკონტირებულია ევრობონდების არსებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული რეფორმები

მოგების გადასახადის რეფორმა

რეფორმას საფუძვლად უდევს მოგების გადასახადის ეგრეთ წოდებული „ესტონური მოდელი“. აღნიშნული რეფორმის შედეგად საწარმოები მოგების გადასახადს გადაიხდიან, მხოლოდ მიღებული მოგების განაწილების შემთხვევაში. მოგების გადასახადის რეფორმის განხორციელება ხელს შეუწყობს ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ინვესტიციების ზრდას, ფინანსურ რესურსებზე კომპანიების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ასევე საგადასახადო აღრიცხვისა და ადმინისტრირების გამარტივებას.

მოგების გადასახადის რეფორმა ხელს შეუწყობს როგორც ეკონომიკური ზრდის დაახლოებას პოტენციურ დონესთან, ასევე პოტენციური დონის ზრდასაც.

საპენსიო რეფორმა

რეფორმა გულისხმობს კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვას. რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდება დაგროვებითი საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუციონალური ჩარჩო და შესაძლებელი იქნება ნებისმიერმა ადამიანმა შეძლოს დაგეგმოს საკუთარი საპენსიო შემოსავლები საპენსიო ასაკში. საპენსიო რეფორმა ხელს შეუწყობს ეროვნული დანაზოგების ზრდას და ლარის გრძელვადიანი რესურსის შექმნას ქვეყანაში. რეფორმის შედეგად შესაძლებელი იქნება, ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პარალელურად, პენსიონერთა ცხოვრების დონის ამაღლება. ასევე, მოსალოდნელია, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა შეცვლის ინდივიდების ქცევას და წახალისებს დაზოგვისადმი ზღვრულ მიდრეკილებას.

კაპიტალის ბაზრის რეფორმა

რეფორმა ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მარტივი და სამართლიანი საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმის შემოღებას, მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლებას, ეფექტური ზედამხედველობის არსებობას, გამჭვირვალე და კონკურენტული გარემოს შექმნას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას. კაპიტალის ბაზრის რეფორმის შედეგად საფინანსო ბაზარზე, საბანკო და მიკრო-საფინანსო სექტორის გარდა, გაჩნდება დაფინანსების ალტერნატიული ინსტრუმენტები, რაც კომპანიებისთვის გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოზიდვის დამატებითი საშუალება იქნება. აღნიშნული საშუალებას მისცემს კერძო კომპანიებს მოიზიდონ საბანკო კრედიტთან შედარებით უფრო იაფი დაფინანსება, გააფართოონ არსებული საწარმოები და მოახდინონ ინვესტირება ახალ პროექტებში.

სივრცითი მოწყობის რეფორმა

სივრცითი მოწყობის რეფორმა გულისხმობს რეგიონების, ახალი სატრანსპორტო ქსელისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება და ამ სფეროში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება. ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარებას აქვს პოზიტიური გადადინებითი ეფექტი სხვადასხვა სექტორის განვითარებაზე და ხელს უწყობს ფისკალური პოლიტიკის ზრდაზე ორიენტირებულობას. აღნიშნული პროექტების განხორციელება შექმნის მნიშვნელოვან წინაპირობას, რომ საქართველომ სრულად აითვისოს სახმელეთო სატრანზიტო პოტენციალი და ამასთან, შეამსუბუქოს კერძო სექტორის ლოგისტიკური ხარჯები, რაც მნიშვნელოვანი სტიმულია ინვესტიციების მოზიდვისათვის.

საჯარო-კერძო პარტნიორობის რეფორმა

საჯარო-კერძო პარტნიორობის რეფორმა ითვალისწინებს გამჭვირვალე და ეფექტიანი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. რეფორმის მიზანია ხელი შეუწყოს და წახალისოს საჯარო-კერძო პარტნიორობის პროექტების განხორციელება.

გადახდისუნარიობის რეფორმა

რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და გამჭვირვალე გარემოს ჩამოყალიბებას სიცოცხლისუნარიანი ფირმებისათვის, რათა მათ მოახდინონ რეაბილიტაცია, ხოლო თუ რეაბილიტაცია არ არის შესაძლებელი, სისტემა ითვალისწინებს კომპანიების ორგანიზებული ფორმით ბაზრიდან გასვლას გაკოტრების გზით. რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანია გადახდისუნარიობის საქმის წარმოების პროცესის სისწრაფე და ეფექტურობა, რათა „გაჩერებული“ აქტივების ეკონომიკაში დაბრუნება დროულად იყოს შესაძლებელი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მისამართი: 0108 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №10ა

ტელეფონი: +(995 32) 2 98 11 42

ფაქსი: +(995 32) 2 92 15 34

ელ. ფოსტა: ministry@economy.ge

